

## თავი 25

დაფინანსების წყაროები: საკუთარი კაპიტალი

1. გრძელვადიანი დაფინანსების წყაროს განეკუთვნება:
  - ა) ლიზინგი;
  - ბ) ობლიგაცია;
  - გ) სახელმწიფო გრანტები.
2. საშუალოვადიანი დაფინანსების წყაროს განეკუთვნება:
  - ა) პრივილეგიური აქციები;
  - ბ) ჩვეულებრივი აქციები;
  - გ) ლიზინგი.
3. დაფინანსების წყაროების არჩევისას გასათვალისწინებელი კტიტერიუმია:
  - ა) ხელმისაწვდომობა;
  - ბ) ფუნქციონირებადობა;
  - გ) უწყვეტობა.
4. “ცერა თითის წესი” – მიუთითებს დაფინანსების წყაროს არჩევის კრიტერიუმს:
  - ა) დანახარჯი;
  - ბ) ხანგრძლივობა;
  - გ) ხელმისაწვდომობა.
5. გრძელვადიანი დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია უფრო მეტად:
  - ა) მცირე კომპანიებისათვის;
  - ბ) კოტირებული კომპანიებისათვის;
  - გ) არცერთი მათგანი.
6. აქციების გასაყიდად წარდგენა – განეკუთვნება საკუთარი კაპიტალის დაფინანსების შემდეგ წყაროს:
  - ა) აქციების უფლებითი ემისია;
  - ბ) შიგა აკუმულირებული ფონდები;
  - გ) ახალი აქციების გამოშვება.
7. საკუთარი კაპიტალის დაფინანსების წყაროებს შორის ყველაზე იაფი და სწრაფია:
  - ა) აქციების უფლებითი ემისია;
  - ბ) შიგა აკუმულირებადი ფონდები;
  - გ) ახალი აქციების გამოშვება.
8. ახალი აქციების გამოშვება ძნელია:
  - ა) კოტირებული კომპანიებისათვის;
  - ბ) არაკოტირებული კომპანიებისათვის;
  - გ) არცერთი მათგანისათვის.

9. ინვესტორთა თვალსაზრისით დაბანდება უფრო, ნაკლებად რისკიანია:

- ა) კოტირებულ კომპანიებში;
- ბ) არაკოტირებულ კომპანიებში;
- გ) რისკი არ არის განსხვავებული.

10. აქციების ფიქსირებული ფასით შეთავაზება ფართო საზოგადოებისათვის ხდება:

- ა) აქციების პროსპექტის მეშვეობით გასაყიდად წარდგენისას;
- ბ) აქციების გასაყიდად ტენდერზე წარდგენისას;
- გ) განთავსებისას.

11. აქციების ფასის დადგენა “შესრულების ფასით” ხდება აქციების:

- ა) ტენდერზე გასაყიდად წარდგენისას;
- ბ) გასაყიდად პროსპექტის მეშვეობით წარდგენისას;
- გ) განთავსებისას.

12. როცა აქციების გაყიდვა ხდება მომსახურე ბანკის მიერ ინსტიტუციონალურ ინვესტორებზე, წარმოადგენს:

- ა) აქციების გასაყიდად ტენდერზე წარდგენას;
- ბ) აქციების გასაყიდად წარდგენას პროსპექტის მეშვეობით;
- გ) განთავსებას.

13. ახალი აქციების გამოშევებისას გამოიყენება შემდეგი ინსტიტუციონალური მრჩეველები:

- ა) საემისიო სახლები და სავაჭრო ბანკები;
- ბ) სადაზღვევო კომპანიები და საფონდო ბირჟები;
- გ) საპენსიო ფონდები და სადაზღვევო კომპანიები.

14. ბონუსური ემისია ხორციელდება:

- ა) კომპანიის ახალი აქციების განთავსებით;
- ბ) კომპანიის რეზერვების სააქციო კაპიტალში გარდასახვით;
- გ) ბრუნვაში მყოფ აქციებთან შესაბამისობის გარეშე.

15. კაპიტალიზაციური ემისიისათვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას არ განეკუთვნება:

- ა) 1 – 2 სათვის;
- ბ) 2 – ჯერ – 5;
- გ) 3 – 2-ის დანაწევრებით.

16. სააქციო კაპიტალის ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ფულადი სახსრების ზრდას, მიეკუთვნება:

- ა) აქციების უფლებითი ემისია;
- ბ) აქციების ბონუსური ემისია;
- გ) აქციების განთავსება.

17. აქციების უფლებითი ემისია:

- ა) წარმოშობს დამატებით ფულად სახსრებს;
- ბ) არ ზრდის სააქციო კაპიტალს;
- გ) ამცირებს კომპანიის ქონებას.

**18. აქციის დანაწევრებით, კომპანიის:**

- ა) აქციები ადვილად რეალიზებადი ხდება;
- ბ) ფულადი სახსრები იზრდება;
- გ) აქციონერთა ოდენობა მცირდება.

**19. აქცინერთა შეცვლას არ იწვევს:**

- ა) აქციების ბონუსური ემისია;
- ბ) საჯარო გაყიდვა;
- გ) განთავსება.

**20. თუ აქციონერებს სურს კონტროლის შენარჩუნება, მაშინ უმჯობესია:**

- ა) აქციების განთავსება;
- ბ) აქციების უფლებითი ემისია;
- გ) აქციების საჯარო შეთავაზება.

**21. საკუთარ კაპიტალში ინვესტირებისას, უკუგბის კომპონენტებია:**

- ა) მიღებული დივიდენდი და შემოსავალი აქციების გამოშვებიდან;
- ბ) კაპიტალის ნამეტი და შემოსავალი აქციების გაყიდვიდან;
- გ) მიღებული დივიდენდები და შემოსავალი აქციების გაყიდვიდან.

**22. შემდეგი ფორმულით გამოსახული აქციის შეფასების მოდელი**

$$P_0 < \frac{D_1}{1+i} + \frac{D_2}{(1+i)^2} + \frac{D_3}{(1+i)^3} + \dots + \frac{D_n + P_n}{(1+i)^n}, \text{ წარმოდგენს აქციის ფასს:}$$

- ა) გამყიდველის თვალსაზრისით;
- ბ) მყიდველის თვალსაზრისით;
- გ) აქციის წონასწორობის ფასს.

**23. აქციების შეფასების რომელი მეთოდი არ არსებობს:**

- ა) დივიდენდების შეფასების მოდელი;
- ბ) ძირითადი მოდელი;
- გ) ემისიური მოდელი.

**24. აქციის შეფასების დივიდენდური მეთოდის ძირითადი დაშვებაა, რომ:**

- ა) დივიდენდები არ გაიცემა და კაპიტალიზირდება;
- ბ) დივიდენდები რჩება მუდმივი;
- გ) დივიდენდი იცვლება მოგების მიხედვით.

**25. აქციის შეფასების დივიდენდური მეთოდის გამოყენებისას, ფორმულა**

$$P_0 = \frac{d}{r} \text{ გამოსახავს რომ:}$$

- ა) დივიდენდი რჩება მუდმივი;
- ბ) დივიდენდი იცვლება მუდმივი განაკვეთით;
- გ) დივიდენდი არ გაიცემა.

**26. აქციის ფასი დივიდენდის ჩათვლით უდრის:**

- ა) აქციის ფასი დივიდენდის გარეშე + გადახდას დაქვემდებარებული დივიდენდი;
- ბ) აქციის ფასი დივიდენდის ჩათვლით – გადახდილი დივიდენდი;
- გ) აქციის ფასი დივიდენდის გარეშე + გადახდილი დივიდენდი.

**27. როცა დივიდენდები აქციაზე იცვლება მუდმივი განაკვათით, აქციის შეფასების ფორმულას აქვს შემდეგი სახე:**

$$\text{ა. } P_0 = \frac{d}{r}$$

$$\text{ბ. } P_0 = \frac{d(1+g)}{r-g}$$

$$\text{გ. } P_0 = \frac{d(1+r)}{g}$$

**28. დივიდენდის მოდელს გააჩნია ნაკლოვანება, კერძოდ:**

- ა)  $g$  უნდა იყოს  $r$ -ზე მეტი;
- ბ)  $r$  უნდა იყოს  $g$ -ს ტოლი;
- გ)  $g$  უნდა იყოს  $r$ -ზე ნაკლები.

**29. დივიდენდის ზრდის განაკვეთის შეფასება ზდება:**

- ა) მომავალი დივიდენდების გამოყენებით;
- ბ) ისტორიული დივიდენდების გამოყენებით;
- გ) მოსალოდნელი დივიდენდების გამოყენები.

**30. RB მოდელი წარმოადგენს დივიდენდების ზრდის განაკვეთის შეფასებას:**

- ა) ისტორიული დივიდენდების გამოყენებით;
- ბ) მომავალი რეინვესტირებისა და მოგების შენარჩუნების განაკვეთებით;
- გ) მომავალი დივიდენდების გამოყენებით.

**31. რეალური ბაზრისათვის სადივიდენდო პოლიტიკა:**

- ა) რელევანტურია;
- ბ) ირელევანტურია;
- გ) იდეალურია.

**32. სადივიდენდო პოლიტიკა – ბაზრის არასრულყოფილების გათვალისწინებისას გავლენას ახდენს:**

- ა) აქციონერთა კეთილდღეობაზე;
- ბ) აქციის ფასზე;
- გ) აქციონერთა რაოდენობაზე.

**33. სარისკო კაპიტალის სასტარტო კომპანიებს (VSTs) გალდებულება აქვს:**

- ა) ინვესტიციების 20% განახორციელონ არაკოტირებულ კომპანიებში;
- ბ) ინვესტიციების 70% განახორციელონ არაკოტირებულ კომპანიებში;
- გ) ინვესტიციების 50% განახორციელონ კოტირებულ კომპანიებში.

## ამოცანა №1

### **კანკარტები:**

აქციონერთა ბაზარზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რა განსხვავება იქნება ფინანსების გაუნაწილებელი მოგებისა და აქციების უფლებითი ემისიის საშუალებით მოზიდვასა და საკუთარი კაპიტალის ახალი ემისიის საშუალებით დაფინანსებას შორის?

## ამოცანა №2

კომპანია X-ს გააჩნია 1000 აქცია კომპანია Y-ში, რომელსაც გააჩნია გამოშვებული სააქციო კაპიტალი 4000000 აქციაში. დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა მოახდინოს შემოსავლებიდან ფორმირებული თავისი რეზერვების ნაწილის კაპიტალიზაცია ზელმოწერითი ემისიის გზით 1 – 4-სათვის. გავიანგარიშოთ კომპანიაში X-ის კომპანია Y-ში ინვესტირების პროცენტული შეფარდება ზელმოწერითი ემისიის განხორციელებამდე და შეძლევ.

### ამოცანა №3

თემაში წარმოდგენილი ფორმულების დახმარებით ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

- ცნობილია, რომ კომპანიის ინვესტორები გეგმავენ 15%-იანი მოგების ნორმას. მიმდინარე დივიდენდი აქციაზე  $0.30$  ლარი – ახლახანა გადახდილი. ზრდა არ არის მოსალოდნელი. განვსაზღვროთ აქციის ფასი  $P_0$ .
- პირობა იგივეა როგორც (ა) შემთხვევაში, ოღონდ დივიდენდების წელიწადში  $5\%$ -ით ზრდაა მოსალოდნელი.

### ამოცანა №4

აქცია კოტირებულია დივიდენდის ჩათვლით  $4.5$  ლარად და გამოცხდებული დივიდენდი არის  $0.5$  ლარი.

როგორია სავარაუდო დივიდენდის გარეშე ფასი?